ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტი

სამეგრელო-ზემო სვანეთის და კახეთის რეგიონისთვის

გასაჩივრების მექანიზმი

waste.gov.ge
(+995 32) 2 43 88 30
info@waste.gov.ge

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

KFW

პროექტს აფინანსებენ გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) და საქართველოს მთავრობა

პროექტის შესახებ

„მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II“ კახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში მიზნად ისახავს რეგიონში საერთო ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას მყარი ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების გზით, რომელიც მოიცავს:

- ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობას ეროვნული და საერთაშორისო (ძირითადად, ევროკავშირის) სტანდარტების შესაბამისად;
- არსებული ნაგავსაყრელების დახურვას;
- გადამტვირთავი სადგურების მოწყობას.

პროექტი ხორციელდება საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი ორივე რეგიონისთვის შეადგენს 32 მლნ ევროს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, პროექტი შემდეგ ხუთ მთავარ კომპონენტს მოიცავს:

- რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა ეროვნული და საერთაშორისო (ევროკავშირის) სტანდარტების შესაბამისად ზუგდიდში (არსებული ნაგავსაყრელის ადგილზე, რომელიც უნდა დაიხუროს);
- გადამტვირთავი სადგურების მშენებლობა ფოთში, წალენჯიხასა და ლახანში (გადამტვირთავი პუნქტი); გადამტვირთავი სადგურების დანიშნულება მოშორებული

მუნიციპალუტეტებიდან ნარჩენების ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება;

- არსებული ნაგავსაყრელის დახურვა ფოთში, გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად;
- არსებული ნაგავსაყრელის დახურვა ზუგდიდში, გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად;
- მუნიციპალიტეტების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, როგორიცაა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების საშუალებები.

რა სარგებელი მოაქვს ამ პროექტს?

არსებული ნაგავსაყრელების დახურვით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ნარჩენების განთავსების ახალი თანამედროვე ობიექტის მშენებლობით პროექტი მნიშვნელოვან პოზიტიურ ზემოქმედებას მოახდენს გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე, კერძოდ:

- პროექტი ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას მისი მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში;
- გადამტვირთავი სადგურების საშუალებით პროექტი შეამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს;
- ობიექტის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მართვა ხელს შეუწყობს ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციას, ნიადაგსა და წყლის რესურსებზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციას და უსიამოვნო სუნის წარმოქმნის თავიდან აცილებას. შედეგად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჰიგიენური პირობები მთელ რეგიონში გაუმჯობესდება;
- რეგიონში ნარჩენების მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა შეამცირებს სათბურის აირებით გამოწვეულ უარყოფით ზეგავლენას.

გასაჩივრების მექანიზმი

რას წარმოადგენს გასაჩივრების მექანიზმი?
საჩივრების განხილვის მექანიზმის დანიშნულებაა ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მესამე მხარის ან შესაძლო ზემოქმედების რისკის ქვეშ მყოფი თემებისგან პროექტთან დაკავშირებული პრეტენზიების თუ საჩივრების მიღებისა და გადაჭრის გამარტივება. მისი მიზანია პრობლემების დროული გადაწყვეტა და საჩივრის შემომტანი პირის/ჯგუფის ვინაობის კონფიდენ-ციალურობის დაცვა.

SWMCG შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს და მომხმარებლებს, კომპანიას შეატყობინოს კომპანიის მომსახურებასა და მუშაობასთან დაკავშირებული თავიანთი დაკვირვების შედეგი თუ შენიშვნა. გასაჩივრების მექანიზმი კომპანიაში შემუშავებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად.

ვის შეუძლია საჩივრის შეტანა?
პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობაზე მოსაზრების გასაზიარებლად, კომპანიასთან დაკავშირება და საჩივრის შემოტანა შეუძლია ნებისმიერ პირს, ჯგუფს ან სხვა დაინტერესებულ მხარეს.

საჩივრის შეტანა შეგიძლიათ:

- კომპანიის გვერდზე შესვლით: www.waste.gov.ge
- შემდეგ საკონტაქტო პირთან დაკავშირებით ტელეფონით, WhatsApp, Viber-ით ან ელ.ფოსტის საშუალებით:

სახელი: ეკა მიქანაძე
იურიდიული პირი/თანამდებობა: იურიდიული დეპარტამენტის უფროსი / SWMCG
ტელეფონის ნომერი: (+995 32) 2 43 88 30.
Viber / WhatsApp: +995 577 303 069
ელ.ფოსტის მისამართი: szs@waste.gov.ge

- წერილის პირადად წარდგენა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე: ა.პოლიტკოვსკაიას ქ. #14, 0186, თბილისი, საქართველო

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT
KFW
პროექტს აფინანსებენ გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW) და საქართველოს მთავრობა

როგორ ხდება საჩივრის შესახებ ინფორმაციის ჩაწერა?

ნებისმიერი საჩივარი აღირიცხება კომპანიის წარმომადგენლის მიერ. თქვენგან საჭიროა შემდეგი ინფორმაცია:

- სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, სქესი და შემდგომი კომუნიკაციის სასურველი ფორმა (ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა), რათა შევძლოთ მომავალში თქვენთან დაკავშირება;
- საჩივრის მიღების თარიღი, დრო, ადგილი და წარდგენის ფორმა (მაგალითად, საჩივრის ქაღალდის ბლანკი, ვებგვერდზე განთავსებული საჩივრის ფორმა, სიტყვიერი, ტელეფონით და ა.შ.);
- საჩივრის საგანი (აღწერა), რომელიც შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ მესამე მხარეს (როგორიცაა მაგალითად, მშენებელი კონტრაქტორი).

თქვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ჩაიწერება საჩივრების ჟურნალში.

საჩივრის წარდგენის შემდეგ, შემდგომი რეაგირების მიზნით საჩივრის შესახებ მეტი დეტალების გასარკვევად შეიძლება დაგიკავშირდეთ კომპანიის თემთან ურთიერთობის მენეჯერი (CLM), რომელიც იღებს საჩივარს. თქვენი საჩივრის რეგისტრაციისა და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის ჩაწერის შემდეგ, საჩივრის საგანი განხილული იქნება პროექტის პერსონალთან და საჭიროების შემთხვევაში სხვა მხარეებთან ერთად. კვლევის მიმდინარეობისას ჩვენი თემთან ურთიერთობის მენეჯერი პერიოდულად მოახდენს თქვენს ინფორმირებას საჩივართან დაკავშირებით.

კვლევის რა პროცედურები გვაქვს, როგორ მიიღებთ ჩვენგან შეტყობინებას?

საჩივარზე პასუხი შემუშავდება საჩივრის მიღებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში და გამოგეგზავნებათ წერილობითი ფორმით. თქვენ მიიღებთ შეტყობინებას საჩივრის გადასაწყვეტად შემოთავაზებული ღონისძიების შესახებ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კომპანია უზრუნველყოფს დამატებითი ინფორმაციის მოწოდებას (განმარტებას). თემთან ურთიერთობის მენეჯრთან თქვენ უნდა დაადასტუროთ თქვენი საჩივრის განხილვა საბოლოო პასუხით. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ პრობლემა არ გადაჭრილა მიღებული პასუხით, მაშინ თემთან ურთიერთობის მენეჯერი (CLM) ახლიდან შეაფასებს თქვენს საჩივარს, რის შემდეგაც CLM-ი წერილობითი ფორმით გაცნობებთ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებით კმაყოფილების შემთხვევაში თქვენ მოგეთხოვებათ აღნიშნულის დადასტურება საჩივრის განხილვის ფორმაზე ხელმოწერით.

მიღებული პასუხით უკმაყოფილების შემთხვევაში უფლება გაქვთ გაასაჩივროთ ჩვენი საბოლოო გადაწყვეტილება. გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, კომპანია მიმართავს დამოუკიდებელი მხარის მომსახურებას (როგორიცაა, არასამთავრობო ორგანიზაცია, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფი ან დამოუკიდებელი კონსულტანტი) და სთხოვს ერთი ან მეტი წარმომადგენლის შუამდგომლობით საქმის მოგვარებაში ხელშეწყობას. მედიაციის გზით კომპანია იმედოვნებს, რომ მიღწეული იქნება ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილება. საჩივრის განხილვის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შეგიძლიათ ისარგებლოთ დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტაციით ან მიმართოთ სასამართლოს.

პროცესი შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ სქემაში.



ჩვენთან დაკავშირება და საჩივრის შემოტანა შეუძლია ნებისმიერ პირს, ჯგუფს ან სხვა დაინტერესებულ მხარეს. ამასთანავე, საჩივარი უნდა ეხებოდეს პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობას.

საჩივრის წარდგენა შეგიძლიათ:

- ვებგვერდის საშუალებით, საწყის გვერდზე შემოსვლით: www.waste.gov.ge;
- საკონტაქტო პირთან დაკავშირებით ტელეფონით, WhatsApp, Viber, ელ.ფოსტის საშუალებით:

სახელი: ეკა მიქანაძე
იურიდიული პირი/თანამდებობა: იურიდიული დეპარტამენტის უფროსი / SWMCG
ტელეფონის ნომერი: (+995 32) 2 43 88 30.
Viber / WhatsApp: +995 577 303 069
ელ.ფოსტის მისამართი: szs@waste.gov.ge

- წერილის პირადად წარდგენით შემდეგ მისამართზე: ა.პოლიტკოვსკაიას ქ. #14, 0186, თბილისი, საქართველო